საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N412 2026 წლის 25 თებერვალი ქ. თბილისი

ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს თანდართული „ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის 2026 წლის პროგრამა“.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის“ (პროგრამული კოდი: 31 02) პროგრამის „უპატრონო/მიკედლებული ცხოველების (ძაღლი, კატა) პოპულაციის მართვის საპილოტე პროგრამის“ ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი: 31 02 06) სახელწოდების ცვლილება შემდეგი რედაქციით: „ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის პროგრამა“.

3. „ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის 2026 წლის პროგრამის“ დაფინანსება განხორციელდეს „სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის“ (პროგრამული კოდი: 31 02) პროგრამის „ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის პროგრამის“ ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი: 31 02 06) ფარგლებში.

4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრომ უზრუნველყონ ამ განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

5. „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, რომ „ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის პროგრამის“ ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი: 31 02 06) ფარგლებში 2026 წელს არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არაუმეტეს 81 ერთეულით.

6. ეთხოვოთ ამ განკარგულებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტებს ამავე განკარგულების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის 2026 წლის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის ამოცანები და მიზნები

1. „ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის 2026 წლის პროგრამა“ (შემდგომში – პროგრამა) წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს ძაღლების მიკვლევადობას და ცოფის პრევენციას, ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის ღონისძიებების განხორციელებით.

2. პროგრამა მოიცავს ჰუმანური მეთოდებით ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვაში პროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტების მხარდაჭერის ღონისძიებებს (დანართი №1) და ითვალისწინებს:

ა) უპატრონო/მიკედლებული ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციას, სტერილიზაცია/კასტრაციას, საჭიროების შემთხვევაში, ლეიშმანიოზზე და ჭირზე ტესტირებას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ აუცილებელ ღონისძიებებს;

ბ) პატრონიანი ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას და ძუ ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას და სტერილიზაციას.

3. პროგრამის მიზანია:

ა) ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვა, ცოფის დაავადების გადაცემის პრევენცია, ასევე, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის ჰუმანური მეთოდების პოპულარიზაცია.

მუხლი 2. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში ჩართულები იქნებიან ქ. თბილისის, კახეთის, იმერეთისა და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტები და მათ მიერ განსაზღვრული ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრები.

3. ქ. თბილისში უპატრონო/მიკედლებული ძაღლების პოპულაციის მართვას, სააგენტოსთან კოორდინაციით, განახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო, მის მიერ განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

4. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უპატრონო/მიკედლებული ძაღლების პოპულაციის მართვას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების უფლებამოსილი ორგანოები, მათ მიერ განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

5. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო ახორციელებს ამ პროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მხარდაჭერას.

6. პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მუხლი 3. პროგრამის პირობები

1. მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა, სააგენტოს მიერ განხორციელდება:

ა) კარდაკარ პრინციპით, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებული ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პარალელურად, სავარაუდოდ 102 092 პატრონიანი ძაღლის იდენტიფიკაცია (მიკროჩიპის გამოყენებით) და მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია;

ბ) პატრონიანი ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის ჰუმანური მეთოდების პოპულარიზაციის მიზნით, სავარაუდოდ 13 619 ძუ ძაღლის სტერილიზაცია (მომსახურების შესყიდვით) და საჭიროების შემთხვევაში, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია.

2. მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარდა ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის, კასტრაცია/სტერილიზაციისა და საჭიროების შემთხვევაში, ტესტირების (ლეიშმანიოზი, ჭირი) ჩატარების მიზნით, სააგენტოს მიერ განხორციელდება სავარაუდოდ 36 116 უპატრონო/მიკედლებული ძაღლის დაჭერა და შემდეგ ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფრებში გადაყვანა:

ა) მცხეთა-მთიანეთის მხარიდან – ქ. თბილისის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში;

ბ) კახეთისა და ქვემო ქართლის მხარიდან – გურჯაანის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში;

გ) შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მხარიდან – გორის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში;

დ) იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარიდან – ქ. ქუთაისის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების შემდგომ, სააგენტოს მიერ განხორციელდება ძაღლების გარემოში დაბრუნება. აკრძალულია ძაღლის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სამედიცინო დაწესებულებასთან, საზოგადოებრივი კვების ობიექტთან, აგრარულ ბაზრებთან, სასტუმროსთან და საბავშვო და სპორტულ მოედნებთან დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში, უნდა შეიცვალოს გარემოში დაბრუნების ლოკაცია.

4. სააგენტოს მიერ განხორციელდება:

ა) ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, გურჯაანის და გორის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფრებში, პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებისთვის საჭირო ვაქცინების, საყურე ნიშნებისა და სხვა აუცილებელი მატერიალური ფასეულობის შესყიდვა და ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, გურჯაანის და გორის მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემა,

დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) ქ. ქუთაისის, გურჯაანის და გორის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფრებში პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებისთვის, სპეციალისტების შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად, სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების და შესყიდვების განსახორციელებლად, ქ. ქუთაისის, გურჯაანის და გორის მუნიციპალიტეტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული თანხების გადარიცხვა, დანართი №1-ის შესაბამისად;

გ) ქ. თბილისის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ღონისძიებების ჩატარებისთვის, სპეციალისტების შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად და შესყიდვების განსახორციელებლად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის პროგრამით გათვალისწინებული თანხების გადარიცხვა, დანართი №1-ის შესაბამისად;

დ) სამეგრელო-ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს მხარდაჭერითა და მუნიციპალიტეტებში ადგილების შერჩევით, სააგენტოს მიერ განხორციელდება თავშესაფრების მშენებლობის დაწყება.

5. ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, გურჯაანის და გორის ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრების მიერ განხორციელდება:

ა) სააგენტოს მიერ მიყვანილი ძაღლების კასტრაცია/სტერილიზაცია, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, საჭიროების შემთხვევაში, ჭირზე და ლეიშმანიოზზე გამოკვლევა, პოსტოპერაციული დაყოვნების შემდგომ, ძაღლების სააგენტოსთვის გადაცემა, მათ გარემოში დაბრუნების მიზნით და შესრულებული სამუშაოების შესახებ მონაცემების აღრიცხვა (მათ შორის, მონაცემთა ერთიან ბაზაში);

ბ) დამატებით შესაბამისი რაოდენობის სპეციალისტების (ვეტერინარი, ვეტერინარი ტექნიკოსი, კინოლოგი, სანიტარი) აყვანა.

6. ქ. ქუთაისის, გურჯაანის და გორის მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელდება არსებული მუნიციპალური თავშესაფრების

ინფრასტრუქტურის გაძლიერება (მშენებლობა, რემონტი) და ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო მატერიალური ფასეულობის შესყიდვა.

7. შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდება ქვემო-ქართლში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში, სააგენტოს მიერ მუნიციპალური თავშესაფრების მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთების სააგენტოსთვის გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის ჰუმანური მეთოდების პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტოს მიერ განხორციელდება საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანია:

ა) პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და მათი ჩართულობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება;

ბ) ძაღლების სავალდებულო იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, კასტრაცია/სტერილიზაციის და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის აუცილებლობის თაობაზე მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება;

გ) ქუჩაში მიტოვებული ძაღლებისგან გამოწვეულ საფრთხეებზე და პასუხისმგებლობის ზომებზე ინფორმაციის მიწოდება.

9. სააგენტოს მიერ საინფორმაციო კამპანიის განხორციელების მხარდაჭერას, უფლებამოსილების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო და მუნიციპალიტეტები.

10. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს უცხოელი ან/და ადგილობრივი ექსპერტების/სპეციალისტების პროგრამაში ჩართვას.

მუხლი 4. მონიტორინგი

1. სააგენტოს მოთხოვნით, პროგრამაში ჩართული მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციის სააგენტოსთვის მიწოდებას.

2. გაუხარჯავი ფულადი თანხები მუნიციპალიტეტების მიერ ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 5. განხორციელების ვადები

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება 2026 წლის განმავლობაში.

დანართი №1

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები

№	მუნიციპალიტეტები	პატრონიანი ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და ვაქცინაციის სავარაუდო რაოდენობა	პატრონიანი ძუ ძაღლების სტერილიზაციის სავარაუდო რაოდენობა	უპატრონო/მიკედლებული ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სტერილიზაცია/ კასტრაციის, ცოფის ვაქცინაციის სავარაუდო რაოდენობა
1	ქარელი	1414	189	4,787
2	გორი	1979	264	
3	კასპი	1445	193	
4	ხაშური	1321	176	
4	**შიდა ქართლი**	**6159**	**822**	4,787
1	გურჯაანი	3122	416	5,197
2	სიღნაღი	2471	330	
3	დედოფლისწყარო	1620	216	
4	თელავი	1819	243	
5	ახმეტა	1061	142	
6	ყვარელი	1467	196	
7	ლაგოდეხი	1635	218	
8	საგარეჯო	2448	326	
8	**კახეთი**	**15643**	**2087**	5,197
1	ხონი	2107	281	3,150
2	ვანი	3710	495	
3	ბაღდათი	2019	269	
4	ზესტაფონი	3207	428	
5	თერჯოლა	3022	403	
6	ტყიბული	2116	282	
7	ხარაგაული	1814	242	
8	ჭიათურა	1852	247	
9	წყალტუბო	2542	339	
10	სამტრედია	3819	509	
11	საჩხერე	1912	256	
12	ქ. ქუთაისი	0	0	

12	იმერეთი	**28120**	**3751**	3,150
1	ახალქალაქი	1636	218	5,402
2	ახალციხე	883	118	
3	ადიგენი	815	109	
4	ასპინძა	663	88	
5	ნინოწმინდა	1217	162	
6	ბორჯომი	888	119	
6	**სამცხე ჯავახეთი**	**6102**	**814**	5,402
1	ამბროლაური	954	127	1,043
2	ონი	374	50	
3	ცაგერი	911	122	
4	ლენტეხი	386	51	
4	**რაჭა ლეჩხუმ ქ/ს**	**2625**	**350**	1,043
1	ზუგდიდი	5375	717	3,776
2	წალენჯიხა	1244	166	
3	ხობი	3111	415	
4	ჩხოროწყუ	2161	288	
5	მარტვილი	1342	179	
6	აბაშა	2762	368	
7	სენაკი	3002	400	
8	მესტია	482	65	
9	ფოთი	0	0	
9	**სამეგრელო ზ/ს**	**19479**	**2598**	3,776
1	ოზურგეთი	4835	645	2,086
2	ლანჩხუთი	1960	261	
3	ჩოხატაური	1325	177	
3	**გურია**	**8120**	**1083**	2,086
1	რუსთავი	0	0	5,683
2	მარნეული	1366	182	
3	ბოლნისი	1158	154	
4	წალკა	987	132	
5	დმანისი	1544	206	
6	თეთრიწყარო	1245	166	
7	გარდაბანი	1806	241	
7	**ქვემო ქართლი**	**8106**	**1081**	5,683
1	მცხეთა	1510	201	4,992
2	თიანეთი	988	132	

3	ყაზბეგი	420	56	
4	დუშეთი	1229	165	
4	**მცხეთა-მთიანეთი**	**4147**	**554**	4,992
1	ბათუმი	0	0	0
2	ქობულეთი	1668	223	
3	ხელვაჩაური	871	116	
4	ქედა	440	59	
5	შუახევი	159	21	
6	ხულო	453	60	
6	**აჭარა**	**3591**	**479**	0
1	**თბილისი**	0	0	0
64	სულ:	102,092	13, 619	36,116

მუნიციპალიტეტებისთვის გათვალისწინებული თანხები (ლარი)

მუნიციპალიტეტი	თავმჯდომარის პერსონალის შრომის ანაზღაურება	სხვადასხვა მომსახურების (გაზი, ასინირაცია) შესყიდვა	მედიკამენტები/საოპერაციო სახარჯი მასალის და ცხოველის საკვების შესყიდვა	მშენებლობა/რემონტი/ინვენტარის შესყიდვა	სულ
გურჯაანი	457,380	98,000	616,134	200,000	1,371,514
გორი	457,380	98,000	577,003	307,000	1,439,383
ქ. ქუთაისი	457,380	98,000	569,415	200,000	1,324,795
ქ. თბილისი	220,220	-	275,958	-	496,178
სულ:	1,592,360	294,000	2,038,510	707,000	4,631,870